# საქართველო

## ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
## ბრძანება

N 47 416
30/03/2021

416-47-4-202103301507

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებით პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. განმეორებით პირობებიან და უპირობო ელექტრონულ აუქციონზე განხორციელდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართი N1 და დანართი N2-ში მითითებული უძრავი ქონების პრივატიზება.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ელექტრონულ აუქციონზე უძრავი ქონების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

თემურ ჩუბინიძე

მუნიციპალიტეტის მერი

დანართი N1

# ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

| N | ობიექტის დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | მიწის ფართობი მ² | შენობა - ნაგებობის ფართობი მ² | ღირებულება (ლარი) | პირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ტყიბული, რუსთაველის ქ. N6 მიწის ნაკვეთი. | ქ. ტყიბული, რუსთაველის ქ. N6 | 39.01.23.077 | 33 | | 800 | ტერიტორიის იერსახის მოწესრიგება 3 თვის განმავლობაში |
| 2 | ტყიბულის მუნციპალიტეტის სოფელ კურსებში, 51-ე ქუჩა N6-ში მდებარე(სოფელი გელათი) ყოფილი კლუბის შენობა, დანგრეული | ტყიბულის მუნციპალიტეტის სოფელი კურსები, 51-ე ქუჩა N6 | 39.07.29.024 | 300 | 0 | 15000 | უპირობო |
| 3 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების თემში (სოფელ გელათის ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა) მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით | ტყიბულის მუნიციპალიტეტის კურსების თემი, (გელათის დასახლება) | 39.07.29.001 | 2765 | 1166,36 | 63000 | შენობისა და ტერიტორიის მოწესრიგება 3 წლის განმავლობაში, ასევე შენობის ფუნქციური დატვირთვა |
| 4 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში მდებარე ყოფილი კლუბის შენობა (ნანგრევი) | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალდაბა | 39.04.22.072 | 274 | 143 | 2050 | უპირობო |
| 5 | სოფელ მუხურის ყოფილი კლუბი შენობა | ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურა | 39.02.25.149 | 4140 | 381 მ² და 630 მ² | 8500 | შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება 3 წლის განმავლობაში, |
| 6 | ქ. ტყიბული, ყოფილი ხორცკომბინატის სასაკლაო შენობის გარეშე (ფუნდამენტით) | ქ. ტყიბული, ლესელიძის ქ. | 39.01.30.024 | 599 | | 2000 | უპირობო |
| 7 | ქ. ტყიბულში ჯავახიშვილის ქუჩაზე N16 -ის მიმდებარედ თავისუფალი მიწის ნაკვეთი | ქ. ტყიბული ჯავახიშვილის ქუჩა N16 | 39.01.22.028 | 2602 | | 9000 | უპირობო |
| 8 | ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11-ის მიმდებარედ | ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ.N11 | 39.01.30.075 | 4275 | | 28677 | უპირობო |
| 9 | ქ.ტყიბული.ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარედ (გრესის მიმდებარედ) | ქ.ტყიბული, ბარათაშვილის ქუჩა(გრესის მიმდებარედ) | 39.01.29.053 | 2530 | | 9138 | უპირობო |

დანართი N2

## იჯარა (იჯარის ხელშეკრულების ვადა 2 წელი)

| ობიექტის დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | მიწის ფართობი მ² | შენობა-ნაგებობის ფართობი მ² | წლიური ღირებულება (ლარი) | პირობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოწამეთას მონასტერთან არსებული ვიზიტორთა ცენტრი, შენობები და საპარკინგე ადგილები | ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოწამეთა, | 39.07.33.133<br>39.07.32.358 | 1700 მ², 328 მ², 63 მ². | 328 მ², 63 მ². | 8000 | ○ ვიზიტორთა ცენტრში დამთვალიერებლებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე.<br>○ შესაძლებელი უნდა იყოს სასურველ მარშუტებზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.<br>○ ცენტრის თანამშრომლები ვიზიტორებს უნდა დაეხმარონ ან/და კონსულტაცია გაუწიონ ტურების დაგეგმვაში, სასტუმროების დაჯავშნაში, ავტომანქანების დაქირავებაში.<br>○ ვიზიტორთა სურვილის შემთხვევაში, მოიჯარეს უფლება აქვს მოახდინოს აღჭურვილობის გაქირავება (კარვები, დურბინდი, სამთო ველოსიპედი და სხვა).<br>○ მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს და მოაწესრიგოს სატრანსპორტო საშუალებების პარკირება საამისოდ გამოყოფილ ადგილებზე.<br>○ მოიჯარეს უფლება აქვს მიიღოს პარკირებისათვის განკუთვნილი საფასური.<br>○ პირობების სრულად გაცნობა შესაძლებელი იქნება აუქციონზე თანდართული ხელშეკრულების პროექტის საშუალებით. |

## დემონტაჟი

| ობიექტის დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | მიწის ფართობი მ² | შენობა-ნაგებობის ფართობი მ² | წლიური ღირებულება (ლარი) | პირობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტყიბულში კარლო ლომაძის მოედანი. N3-ში მდებარე საქვაბეს შენობა | ტყიბულში კარლო ლომაძის მოედანი. N3 | 39.01.24.003 | | | 0 | შენობის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2(ორი) თვის ვადაში. |